


ეპისტოლე
დიოგნეტოსის მიმართ





შესავალი

ეპისტოლე დიოგნეტოსის მიმართ წარმოადგენს ადრეული ხანის ქრისტიანული აპოლოგეტური ნაშრომების ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ, ბრწყინვალე და სრულყოფილ ადრეულ ნიმუშს, ამასთანავე, კლასიკური მჭევრმეტყველების შესანიშნავ მაგალითს.

ეპისტოლე დიოგნეტოსის მიმართ დაცული იყო ერთადერთ, XIII-XIV სს-ის ნუსხაში (*Codex Argentoratensis Graecus 9*), რომელიც ეპისტოლესთან ერთად შეიცავდა ასევე წმ. იუსტინე მარტილის ოთხ თხზულებას. ხელნაწერი შეისყიდა ჯერ თომას დ'არეცომ კონსტანტინოპოლში, 1436 წელს; შემდეგ იგი ეკუთვნოდა მომავალ კარდინალ იოანე სტოიკოვიჩს, იოანე როიხლინს (*Johann Reuchlin*, 1455-1522 წწ.), მავრმიუნსტერის (*Maurismünster*) მონასტერს ელზასში, ბოლოს კი აღმოჩნდა სტრასბურგის ბიბლიოთეკის მფლობელობაში (*Codex Graecus 9*), სადაც იგი 1870 წლის 24 აგვისტოს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, სხვა ხელნაწერებთან ერთად ხანძარმა გაანადგურა.¹ საბედნიეროდ, ამ დროისათვის ეპისტოლე გადანერილი ჰქონდათ ბერნარდ ჰაუსს (*Bernard Hauss*, 1579 წელს),² ჰენრი სტეფენსს (*Henry Stephens*, 1586 წელს, რომელმაც პირველმა

1. *A Diognète*. Ed. H.I. Marrou. *Sources Chrétiennes* 33bis. 2^e ed. Paris: Éditions du Cerf, 1965, გვ. 6-8.

2. მისი ხელნაწერი დაცულია ტიუბინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (*Codex Misc. Tübing., M.b. 27*). იგი გამოქვეყნდა ფუნკის გამოცემაში: F.X. Funk. *Patres Apostolici*. T. I. Ed. 2. Tübingen, 1901. იხ. *A Diognète*, 1965, გვ. 8, 49, 50.

გამოსცა იგი პარიზში, 1592 წელს),¹ იოჰან ბოიერერს (Johann Jacob Beurer, 1586-1592 წწ., თუმცა ამ უკანასკნელს ტექსტი არ გამოუქვეყნებია), ასევე ე. კუნიცს (Ed. Cunitz, 1842 წელს. ეს ნაწერი 1861 წელს ხელნაწერისთვის შეუდარებია ე. რეუსს იოჰან ოტოს 1879 წლის გამოცემისათვის). სტეფენსის ხელნაწერი ამჟამად ინახება ლეიდენში, ხოლო ბოიერერისა დაკარგულია, მაგრამ ამ უკანასკნელის ზოგი იკითხვისი შემონახულია სტეფენსისა² და ზილბურგის რედაქციის მეშვეობით.³ მთლიანობაში, ტექსტმა ჩვენამდე ოთხი ასლით მოაღწია. ესენია: კუნიცისა და რეუსის, ბოიერერის, ჰაუსის, სტეფენსის ასლები.⁴ წერილის საუკეთესო გამოცემად, ლაითფუტის წიგნის გარდა, ითვლება იოჰან ოტოს ტექსტი.⁵ წერილის კრიტიკული გამოცემისათვის იხ. *À Diognète*. Ed. H.I. Marrou. *Sourcés Chrétiennes* 33bis. 2^e ed. Paris: Éditions du Cerf, 1965. ეპისტოლე შეტანილია, ასევე, *Patrologia Graeca*-ში, რომლისთვისაც იხ. PG 2, სვ. 1167-1185.

სტრასბურგის ხელნაწერი შეიცავდა წმ. იუსტინე მარტვილის არაავთენტურ და საეჭვო თხზულებებს, მათთან ერთად კი ეპისტოლეს დიოგნეტოსის მიმართ, რომელიც აქ იუსტინეს მიეწერებოდა. ეპისტოლეს ავტორის ვინაობაში პირველად ეჭვი შეიტანა ტილმონმა (1691 წ.), რასაც მომდევნო ხანის მკვლევარებიც დაეთანხმნენ იმ საფუძველზე, რომ ნაშრომის შესრულების სტილი იუსტინე მარტვილის სტილისაგან სრულიად განსხვავებულია და, ამასთან, წერილი არ არის ნახსენები წმ. იუსტინეს თხზულებათა არცერთ ადრეულ ჩამონათვალში.

1. Henricus Stephanus. *Justini philosophi et martyris „Epistula ad Diognetum“ et „Oratio ad Graecos“*. Paris, 1592. სტეფენსის მიერ გადაწერილი ასლი ხელთ ჰქონდა ვოსს (Isaac Voss), შემდეგ კი ლეიდენის აკადემიის ბიბლიოთეკას (Codex Graecus Vossianus 30). იგი გათვალისწინებულია იოჰან ოტოს 1879 წლის გამოცემაში (*A Diognète*, 1965, გვ. 9, 49).

2. Stephanus, 1592, გვ. 98-106.

3. F. Sylburg. *S. Iustini philosophi et martyris Opera*. Heidelberg, 1593, გვ. 432-433. დაწვრილებით ხელნაწერის ასლებისა და მათი გამოცემების შესახებ იხ. *A Diognète*, 1965, გვ. 6-24.

4. *A Diognète*, 1965, გვ. 49.

5. Johann Carl Theodor Otto. *Corpus Apologetarum Christianorum Saeculi Secundi*. Jena, 1879, გვ. 158-210.

ტექსტის ავტორის დაზუსტება რთული იყო იმიტომაც, რომ ამ წერილის დამონმება ან, ზოგადად, მითითება ადრეული ხანის მწერლებთან არ დასტურდება.

მკვლევარები ეპისტოლეს ათარილებენ დროის სხვადასხვა მონაკვეთებით, დაახლ. 70 წლიდან XVI ს-ის ჩათვლით, თუმცა კი ამკარაა, რომ იგი დაწერილია ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე. ყველაზე სწორი ჩანს ტექსტის დათარილება II ს-ის შუა ხანებით, რასაც ამყარებს ის ფაქტი, რომ წერილი მიეწერებოდა იუსტინე მარტივს და ხელნაწერში მოთავსებული იყო სხვა, ამ პერიოდის თხზულებებთან ერთად. თხზულების ბერძნული ტექსტის კრიტიკული რედაქციის გამომცემელი, ა. მარუ, მას 120-210, უფრო ზუსტად კი 190-200 წლებით ათარილებს, ამასთან მიიჩნევს, რომ იგი ალექსანდრიაში დაიწერა. წერილის, როგორც ადრეული ხანის ნაწარმოების შესახებ მიუთითებენ ასევე საღვთისმეტყველო ჭეშმარიტებათა გადმოცემის სისადავე და მწვალებლობათა მოუხსენებლობა. ეპისტოლეში საგრძნობია პავლე მოციქულის გავლენა, თუმცა პარალელები იოანე მოციქულის ნაწერებთან უფრო ხშირად არის წარმოდგენილი. მკვლევარები მიუთითებენ იმასაც, რომ წერილის ავტორს წაკითხული უნდა ჰქონოდა *პეტრეს ქადაგება*, კლიმენტი ალექსანდრიელის *ხალიჩები* და *პროტრეპტიკოსი*.¹

რაც შეეხება ეპისტოლეს შედგენილობას, მას აქვს მცირე ლაკუნა 7.6 და 7.7 სტრიქონებს შორის. ამასთან, იგი წყდება მეთათე თავზე, ხოლო მომდევნო ორი თავი, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, მიეკუთვნება სხვა თხზულებას, რომლის დასასრულიც გადანერისას განსახილველ ნაშრომს შემთხვევით მიუერთდა (ზოგი მკვლევარი ამ დამატებით თავებს იპოლიტე რომაელს მიაწერს). ივარაუდება, რომ ხელნაწერის პირველწყაროში ტექსტი უკვე ამგვარი სახით იყო წარმოდგენილი.

წერილის ავტორი, როგორც უკვე აღინიშნა, უცნობია. მის XI თავში დაცული ცნობის, „მოციქულთა მონაფე წარმართთა

1. იხ. „The So-called Letter to Diognetus“, იხ. *The Library of Christian Classics*. Vol. 1: „Early Christian Fathers“. Ed. C.C. Richardson. London, Philadelphia: S.C.M. Press, Ltd., The Westminster Press, 1953, გვ. 208-209.

მასწავლებელი გაეხდი“ (ἀποστόλων γεισίμειος μαθητῆς γύσι-
μαι διδάσκαλος ἔθισι, 11.1), საფუძველზე, მიუხედავად იმისა,
რომ ტექსტის ბოლო ორი თავი, მათ შორის ეს წინადადებაც,
სხვა ავტორის შემოქმედებას წარმოადგენს, ეპისტოლეს მიაკ-
უთვნებდნენ ისეთ ადრეულ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ პან-
ტენოსი, ამბროსიუს აპოლოგეტი, წმ. თეოფილე ანტიოქიელი,
წმ. კლიმენტი რომაელი, კოდრატოს ათენელი, მარკიონი და
ა.შ. ამავე მონაკვეთმა *ეპისტოლეს* ადგილი დაუმკვიდრა მოცი-
ქულებრივ მამათა ნაშრომებს შორის.

დიოგენეტოსი, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო წერი-
ლი, ავტორის მსგავსად, უცნობი პირია. სამეცნიერო ლიტე-
რატურაში სახელდება ოცამდე ამ სახელის მქონე პირი.¹ ასე
მაგალითად, ა. მარუ წერილის ადრესატად მიიჩნევს კლავდი-
უს დიოგენეტუსს, რომელსაც 190-200 წლებში ალექსანდრიის
პროკურატორის თანამდებობა ეკავა.² ზოგი თვალსაზრისით,
დიოგენეტოსი შესაძლოა იყოს იმპერატორ მარკუს ავრელიუსის
შინამასწავლებელი, რომელიც მას ხატვას ასწავლიდა: „დიოგ-
ნეტუსმა ჩამინერგა ზიზლი წვრილმანებისადმი, აგრეთვე ურ-
წმუნოება იმის მიმართ, რასაც სასწაულთმეტყველნი თუ მსახ-
ვრალნი ჩმახავენ სახვრის, ეშმათა განსხმისა და მსგავსთა შე-
სახებ. მასვე ვუმაღლი იმას, რომ არ ვასუქებდი მწყრებს, სხვა
ცუდმაშვრალთა მსგავსად; რომ მოთმინებიდან არ გამოეყავარ
პირუთვნელ სიტყვას; რომ შევიყვარე ფილოსოფია და ვუსმენ-
დი ჯერეთ ბაკხიუსს, შემდეგ კი – ტანდასისს და მარციანუსს;
რომ ადრე დავიწყე დიალოგების თხზვა და ადრევე აღმეძრა
სწრაფვა საველე სარეცლის, ნადირის ტყავისა და ცხოვრების
ელინური წესის სხვა ატრიბუტთა მიმართ“.³


1. *A Diognète*, 1965, გვ. 254.

2. *A Diognète*, 1965, გვ. 267.

3. *ფიქრები*, 1.6. დამონებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: მარკუს ავრელიუსი. *ფიქრები*. მთარგმნ. ბაჩანა ბრეგვაძე. თბილისი: Carpe Diem, 2008, გვ. 92. ამავე გამოცემის ერთ-ერთ შენიშვნაში (გვ. 312, შენ. 10) აღნიშნულია, რომ კაპიტოლინუსის მოწმობით, დიოგენეტუსი მომავალ იმპერატორს ხატვასაც ასწავლიდა: „operam praeterea pingendo sub magistro Diogneto dedit“ (“Marcus Aurelius Antoninus Philosophus“, 4.9, იხ. გამოცემა-ში: *Historia Augusta*. Loeb Classical Library. Harvard University Press, 1921).

ეპისტოლე მიმართულია კერპთაყვანისმცემლობა-წარმართობისა და იუდაური რელიგიის წინააღმდეგ. იგი გადმოსცემს ქრისტიანული რწმენის მოკლე აღწერას და იმ სულიერ სიკეთეებს, რასაც ქრისტიანული სარწმუნოება გულისხმობს და რითაც ის აღემატება წარმართობას, ხოლო ქრისტიანები, ზეცის მოქალაქეები, თავად უფლის მიერ ბოძებული სიყვარულისა და რწმენის მიმდევრები აღემატებიან იუდეველებს, რომელთა მსხვერპლშენირვას, წინადაცვეთას, შაბათის დაცვას თუ მარხვას არ მოაქვს სიამე უფლისათვის.

ქართულ ენაზე არსებობს განსახილველი ტექსტის ერთადერთი თარგმანი, გადმოღებული ედიშერ ჭელიძის მიერ, იხ.: უცნობი ავტორი. „ეპისტოლე დიოგნეტესადმი“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. *სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა*. წ. I. თბილისი: მერანი, 1990, გვ. 9-11 (შესავალი), 12-22 (თარგმანი და შენიშვნები).



ეპისტოლე დიოგენეტოსის მიმართ

თავი I

დიოგენეტოსის ცნობისმოყვარეობა ქრისტიანთა მიმართ

1. რადგანაც ვხედავ, ძლევაძმოსილო დიოგენეტოს, რომ მეტად მოშურნე ხარ, შეისწავლო ქრისტიანთა ღვთისმსახურება და დიდი დაკვირვებით და გულმოდგინებით კითხულობ მათ შესახებ, რომელი ღმერთი სწამთ და როგორ მსახურებას აღუვლენენ მას, კითხულობ, როგორ არის, რომ ყველა ქრისტიანი უგულვებელყოფს სანუთროს და სიკვდილს არ უშინდება, რომ არც ელინთა მიერ ღმერთებად მიჩნეულთ თვლიან ღმერთებად და არც იუდეველთა ცრუმორწმუნეობას იცავენ, და მხურვალე სიყვარული აქვთ ერთმანეთის მიმართ, კითხულობ, რატომ შემოვიდა (ჩვენს) ცხოვრებაში ეს ახალი მოდგმა ან ცხოვრების წესი ახლა და არა უფრო ადრე. 2. მე ვინონებ შენს ასეთ სწრაფვას და შევთხოვ ღმერთს, რომლის მიერაც მოგვემადლება როგორც ლაპარაკის, ისე გაგონების უნარი, მე მიწყალობოს ნიჭი, ვილაპარაკო ისე, რომ შენ, გულდასმით მსმენელი, უკეთესი გახდე, ხოლო შენ – იმგვარი მოსმენის უნარი, რომ მოლაპარაკე არ დამწუხრდეს.

თავი II

კერპთაყვანისმცემლობის უგუნურება

1. მაშ მოდი, განიწმინდე საკუთარი თავი ყოველგვარი წინასწარგანწყობისაგან, რომელიც შენს გონებაზე ბატონობს,

და როდესაც განეშორები ჩვევას, რომელიც გაცთუნებს შენ, და თითქოს თავიდან გახდები ახალი ადამიანი (შდრ. ეფეს. 4.22-24; კოლ. 3.10; იოანე, 3.3-7), როგორც მსმენელი სწავლებისა, რომელიც, როგორც თავადაც აღიარებ, ახალია, იხილე არა მხოლოდ თვალებით, არამედ გონებითაც, როგორი არსებისა და როგორი სახისანი¹ აღმოჩნდებიან ისინი, ვისაც ღმერთებს უწოდებთ და ღმერთებად მიიჩნევთ. 2. ხომ არ არის ერთ-ერთი მათგანი ქვა, მათი მსგავსი, რომელთაც ფეხით თელავენ (2სჯ. 4.28; ესაია, 4.9-20; იერ. 10.3-5), ან სპილენძი, არცთუ უკეთესი იმ სასმისებზე, რომლებიც სპილენძისაგან ჩვენი მოხმარებისათვის არიან დამზადებული, ან ხე, თანაც უკვე დამპალი, ან ვერცხლი, რომლისთვისაც საჭიროა ადამიანი, რომელიც დაიცავს მას მოპარვისაგან, ან ჟანგისაგან შექმული რკინა, ან კიდევ თიხა, არაფრით უფრო მშვენიერი ყველაზე მდაბალი საჭიროებების მომსახურებისათვის განკუთვნილი ნივთების დასამზადებლად გამოყენებულ თიხაზე? 3. განა ყველაფერი ეს ხრწნადი მასალისაგან არ არის შექმნილი? განა რკინისა და ცეცხლისაგან არ არის გამოჭედილი? ხომ არ არის ერთი დამზადებული ქვისმთლელის, მეორე მკალავის, ეს ვერცხლისმჭედლის, ის კი მექოთნის მიერ? სანამ მათი ხელოვნებების მემკვიდრეობით მათ ამ სახეს მისცემდნენ, განა არ იყო და არ არის ახლაც შესაძლებელი თითოეული მათგანის გარდაქმნა?² (რომ. 9.21). განა იმავე მასალისაგან დამზადებული ამჟამინდელი სასმისები, თუკი ამ ხელოსანთა ხელში აღმოჩნდებიან, არ შეიძლება ღმერთების მსგავსად გამოისახონ? 4. და პირიქით, მათ, რომელთაც ახლა თქვენ ეთ-

1. τίνος ὑποστάσεως ἢ τίνος εἶδους.

2. ლათიფუტის გამოცემა (1907, გვ. 491) ამ მონაკვეთში მცირედ სხვაობს კრიტიკული გამოცემის ტექსტისაგან (*A Diognète*, 1965, გვ. 54). ამასთან ეს განსხვავება ამ უკანასკნელის იკითხვისებებს შორის აღნიშნული არ არის. ლათიფუტთან მითითებულია: οὐ πρὶν ἢ ταῖς τέχαις τοῦτων εἰς τῆς μορφῆς ταύτης ἐκτυπασθῆναι ἢ ἐκαστοῦ αὐτῶν ἐκάστω εἰκάζειν (I 31 καὶ νῦν *A Diognète*, 1965) μεταμορφώσιον, რაც შეიძლება ითარგმნოს შემდეგნაირად: განა სანამ მათი ხელოვნებების მემკვიდრეობით მათ ამ ფორმას მისცემდნენ, არ იყო შესაძლებელი, თითოეული მათგანი (ღმერთების) თითოეული გამოსახულების მსგავსებად გარდაექმნათ? თარგმანში ჩვენ ბერძნული კრიტიკული გამოცემის იკითხვის ვიყენებთ.

აყვანებით, განა ადამიანები ვერ გარდაქმნიან დანარჩენ სას-
მისთა მსგავს სასმისებად? განა არ არიან ყველანი ყრუნი,
ბრმანი, უსულონი, უგრძობელნი და უმოძრაონი? განა ყვე-
ლანი ლპობასა და ხრწნას არ ექვემდებარებიან? 5. აი, ამათ
უნოდებთ ღმერთებს, ამათ ემსახურებით, ამათ სცემთ თაყ-
ვანს; და თქვენც სრულიად ემსგავსებით მათ (ფსალ. 134.15-
18). 6. იმიტომაც გეჯავრებათ ქრისტიანები, რომ არ მიიჩ-
ნევენ ამათ ღმერთებად. 7. თქვენ კი, რომლებიც მათ ახლა
ღმერთებს უწოდებთ და თაყვანს სცემთ, ქრისტიანებზე უფ-
რო მეტად ხომ არ უგულბებლყოფთ მათ? უფრო მეტად ხომ
არ დასცინით და შეურაცხყოფთ, როდესაც თაყვანს სცემთ
ქვისა და თიხის კერპებს და დაცვის გარეშე ტოვებთ, ხოლო
ვერცხლისას და ოქროსას ღამლამობით კეტავთ, დღისით კი
დარაჯებს უყენებთ გვერდით, რომ არ მოიპარონ? (შდრ. იერ.
ეპ. 17,23,45,57-58; აბაკ. 2.18-19) 8. თავად იმ თაყვანისცე-
მით, რომელსაც ფიქრობთ, რომ მათ მიაგებთ, უფრო მეტად
სჯით, თუკი ისინი ამას გრძობენ; ხოლო თუკი ისინი ამას
ვერ გრძობენ, ამხელთ მათ იმით, რომ თაყვანს სცემთ შესა-
წირავ ზვარაკთა სისხლითა და შემწვარი ცხიმის სურნელით.
9. დაე, რომელიმე თქვენგანმა დაითმინოს ეს, დაე, რომელი-
მემ განიცადოს ეს საკუთარ თავზე. მაგრამ ძეხორციელი ვერ
დაითმენს ნებაყოფლობით ასეთ სასჯელს, რადგან მას აქვს
გრძობა და გონება, ხოლო ქვა ითმენს ამას, რადგან უგრძობ-
ბელია.¹ ამგვარად, თქვენ ამხელთ მის უგრძობელობას. 10.
იმის შესახებ, რომ ქრისტიანები არ დაემონნენ ასეთ ღმერ-
თებს, მრავალი სხვაც შემიძლია ვთქვა; მაგრამ თუნდაც რომ
ვინმეს არასაკმარისად მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მე ზედმე-
ტად ვთვლი მეტის ლაპარაკს.

1. სისხლიანი მსხვერპლშენიშვნების მიმართ უარყოფითი დამოკ-
იდებულება აღნიშნულია ანტიკურობაშიც, თავად ელინური კულტურის
წარმომადგენელთა მიერ. კერძოდ, ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი
სოფისტი, ლუკიანოს სამოსატელი (125-180 წწ.) ღმერთთა ბაასში შენიშ-
ნავს, რომ ქალღმერთი არტემისი „უკვე მომზადებულია, თუ ვინმე ელინი
ჩავა ტავრიკაში, მას უნდა გამოჰყვეს, შეძრწუნებულია იქაური სისხლიანი
მსხვერპლშენიშვნებით“ (ლუკიანოსი. *რჩეული თხზულებანი*. თბილისი:
ლოგოსი, 2012, გვ. 144).

თავი III იუდეველთა ცრურწმენები

1. შემდგომ, როგორც ვფიქრობ, უფრო მეტად იმის შესახებ გინდა მოისმინო, რომ ქრისტიანები არ ატარებენ ისეთ-სავე ღვთისმსახურებას, როგორსაც იუდეველები. 2. იუდეველები, რახან განშორებულნი არიან ზემოხსენებულ თაყვანისცემას და მსახურობენ სამყაროს ერთ ღმერთსა და მეუფეს, გონივრულად იქცევიან. მაგრამ ვინაიდან ისინი იმავე სახით მიაგებენ მას თაყვანისცემას, როგორც ზემოხსენებულნი, სასტიკად ცდებიან. 3. რადგანაც მაშინ, როდესაც ელინნი, უგრძნობელი და ყრუ გამოსახულებებისათვის ზვარაკის შეწირვით უგუნურების მაგალითს იძლევიან, იუდეველები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაწირავი მიაქვთ ღვთისთვის, თითქოს მას იგი სჭირდება, წარმოაჩენენ სისულელეს უფრო მეტად, ვიდრე ღვთისმსახურებას. 4. მას, ვინც შექმნა ცა და დედამიწა და ყველაფერი, რაც მათშია (ფსალ. 145.6; საქმე, 4.24), და ყოველ ჩვენგანს უწყალობებს იმას, რისი საჭიროებაც გვაქვს, თავად ვერ ექნება ვერაფრის საჭიროება იქიდან, რასაც უწყალობებს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ შესაწირი მიაქვს მასთან (შდრ. საქმე, 17.24-25; ფსალ. 49.8-14). 5. ხოლო ისინი, ვინც ფიქრობენ, შესწირონ ზვარაკი სისხლის, შემწვარი ცხიმის სურნელით და ყოვლადდასანველი შესაწირავის სახით, და ამგვარი პატივი მიაგონ მას, არა მგონია, განსხვავებულნი იყვნენ იმათგან, რომელნიც ყრუ გამოსახულებებს ასეთსავე პატივს მიაგებენ. რადგან ერთნი პატივს მიაგებენ მათ, რომელთაც არ შეუძლიათ შეწყნარება ამ პატივისა, მეორენი კი ფიქრობენ, რომ შესაწირავი მიაქვთ მასთან, რომელსაც არაფერი სჭირდება.

თავი IV იუდეველთა სხვა წეს-ჩვეულებები

1. რაც შეეხება იუდეველთა გადამეტებულ განკრძალვას საკვებთან მიმართებაში, შაბათის შესახებ არსებულ ცრურწმენას, წინადაცვეთით ყოყოჩობას, თვალთმაქცობას მარ-

ხვასა და ახალმთვარეობასთან დაკავშირებით, რაც სასაცილოა და ერთი სიტყვის ღირსიც არ არის, არა მგონია, ამის შესახებ ჩემგან გჭირდებოდეს შეტყობა. 2. როგორ შეიძლება, არ იყოს უსჯულოება, იმ ყველაფრიდან, რაც ღმერთმა ადამიანთა სარგებლობისათვის შექმნა, ერთი ნაწილის ჩათვლა სასიკეთოდ შექმნილად, ხოლო ნაწილის უარყოფა, როგორც უსარგებლოსი და ზედმეტისა? 3. განა უწმინდურობა არ არის უფლისათვის ცილის დანამება, თითქოს იგი კრძალავს შაბათ დღეს სიკეთის ქმნას? (შდრ. ლუკა, 6.9, 13.14-16, 14.3-5).¹ 4. განა არ არის დაცინვის ღირსი ხორცის მოჭრით, როგორც საკუთარი რჩეულობის მტკიცებულებით ყოყოჩობა, თითქოს ამის გამო შეიყვარა ღმერთმა ისინი განსაკუთრებულად? 5. ასევე, მათ მიერ ვარსკვლავებსა და მთვარეზე თვალყურის დევნებას თვეებისა და დღეების სვლაზე დაკვირვებისათვის (გალ. 4.10), ამასთან ერთად კი ღვთის განგებულებათა და ჟამთა ცვლის დაყოფას საკუთარი სურვილების მიხედვით, ნაწილისა – დღესასწაულებად, ნაწილის კი გლოვის დღეებად, ვინ ჩათვლის ღვთისმსახურების და არა, უფრო მეტად, უგუნურების გამოხატულებად? 6. ქრისტიანები რომ სამართლიანად განეშორებიან საყოველთაო უგუნურებასა და საცთურს, და იუდეველების ფაციფუცსა და ყოყოჩობას, ვფიქრობ, ამაში უკვე საკმარისად ხარ გათვითცნობიერებული. რაც შეეხება ქრისტიანთა ღვთისმსახურების საიდუმლოებას, ნუ ელი, რომ მის შესწავლას ადამიანისაგან შესძლებ (გალ. 1.12).

თავი V

ქრისტიანთა ცხოვრება მიწიერ სამყაროში

1. ქრისტიანები დანარჩენ ადამიანთაგან არ განსხვავდებიან არც ქვეყნით, არც ენით, არც სამოსელით, 2. არც საკუთარ ქალაქებში სახლობენ, არც რაიმე განსხვავებულ დიალექტს იყენებენ, არც განსაკუთრებულ ცხოვრებას ეწევიან,

1. ამ მონაკვეთის პარალელს მიუთითებენ კლიმენტი ალექსანდრიელის *ხალიჩებშიც*, 1.13.1.

3. არც რაიმე ცოდნა აქვთ აღმოჩენილი მეცნიერ ადამიანთა გამოგონებისა ან კვლევის მეშვეობით, არც, ზოგიერთთა მსგავსად, კაცობრივ მოძღვრებას წამოსწევნ ნინ. 4. არამედ, მკვიდრობენ რა ბერძნულ და ბარბაროსთა ქალაქებში, ისე, როგორც თითოეულ მათგანს ხვდა წილად, და მისდევენ რა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს სამოსელში, საკვებსა და ცხოვრების სხვა მხარეებში, ისინი საკუთარი მოქალაქობის გასაოცარ და, საყოველთაო შეხედულებით, დაუჯერებელ ცხოვრების წესს ავლენენ. 5. ისინი სახლობენ საკუთარ სამშობლოში, მაგრამ როგორც დროებითი მაცხოვრებლები; მონანილეობას ლებულობენ ყველაფერში, როგორც მოქალაქეები, და ყველაფერს დაითმენენ, როგორც უცხოელები; ყველა უცხო ქვეყანა სამშობლოა მათთვის და ყველა სამშობლო – უცხო ქვეყანა¹ (შდრ. ფილ. 3.20; ეფეს. 2.19; ებრ. 11.13-16). 6. როგორც ყველანი, ისინიც ქორწინდებიან და შვილებსაც აჩენენ, მაგრამ შობილებს არ იშორებენ. 7. საერთო აქვთ ტრაპეზი, მაგრამ არა საწოლი.² 8. სხეულში მყოფობენ, მაგრამ არ ცხოვრობენ სხეულის მიხედვით (იხ. 2კორ. 10.3, რომ. 8.12). 9. დედამინაზე განვლიან სიცოცხლეს, მაგრამ ზეცაში მოქალაქობენ (შდრ. ფილიპ. 3.18-20; ებრ. 13.14). 10. მორჩილებენ დადგენილ კანონებს (რომ. 13.1; ტიტ. 3.1; 1პეტრე, 2.13), საკუთარი ცხოვრებით კი კანონებს სძლევენ. 11. უყვართ ყველანი და ყველას მიერ იდევენებიან. 12. მათ არ ცნობენ, მაგრამ სჯიან; კლავენ, მაგრამ სიცოცხლე მიემადლებათ. 13. გლახაკობენ, მაგრამ მრავალს განამდიდრებენ; ყველაფერს არიან მოკლებულნი, მაგრამ ყველაფერი მოჭარბებულად აქვთ (2კორ. 6.9-10). 14. მათ პატივს ჰყრიან, მაგრამ ისინი განდიდდებიან უპატიობაში (1კორ. 4.10,12); მათ ცილს სწამებენ, ისინი კი მართლდებიან. 15. მათ ლანძღავენ, ისინი კი დალოცვით პასუხობენ (1კორ. 4.12); მათ შეურაცხჰყოფენ, ისინი კი პატივით მიაგებენ. 16. ისინი სიკეთეს სჩადიან, მაგრამ ისჯებიან, როგორც ბოროტმოქმედნი;

1. შდრ. ჰერმასის *მწყემსი*, 3.1.1. იხ. ასევე, კლიმენტი ალექსანდრიელის *პედაგოგოსი*, 3.8.1.

2. Κοιτύς.

დასჯილნი კი ხარობენ (2კორ. 6.10), როგორც სიცოცხლემიმადლებულნი. 17. იუდეველები ებრძვიან მათ, როგორც უცხოტომელებს, ბერძნები სდევნიან, მაგრამ მტრობის მიზეზი მოძულეებს არ აქვთ სათქმელად.

თავი VI

ქრისტიანები – სამყაროს სული

1. მარტივად რომ ითქვას, რაც სულია სხეულისათვის, იგივე არიან ქრისტიანები სამყაროსათვის. 2. სული იმყოფება სხეულის ყველა ნაწილს შორის, ქრისტიანები კი მსოფლიოს ქალაქებში. 3. სული სხეულში სახლობს, მაგრამ არ არის სხეულერივი; ქრისტიანებიც სანუთროში ცხოვრობენ, მაგრამ სანუთროსეულნი არ არიან (იოანე, 15.19, 17.11,14,16). 4. უხილავი სული ხილვად სხეულში არის დატყვევებული, ქრისტიანებიც, ცნობილნი არიან, როგორც სანუთროსმიერნი (იოანე, 17.14-16), მაგრამ მათი ღვთისმსახურება უხილავი რჩება. 5. სძულს სული სხეულს და, თუმცა კი მისგან ზიანი არ დაუთმენია, მას ეომება (გალ. 5.17), იმის გამო, რომ სული უშლის მას სიამოვნებათა აყოლას; სძულს სანუთროსაც ქრისტიანები (იოანე, 17.14; 1იოანე, 3.13), თუმცა კი მათგან ზიანი არ დაუთმენია, იმის გამო, რომ ისინი სიამოვნებებს ეწინააღმდეგებიან. 6. სულს უყვარს თავისი მოძულე სხეული და სხეულის ნაწილები; ქრისტიანებსაც უყვართ მოძულეები¹ (მათე, 5.44). 7. შემწყვედიულია სული სხეულში,² მაგრამ თავად იფარავს სხეულს; ქრისტიანებიც, ჩამწყვედიულნი სამყაროში, როგორც ციხეში, სამყაროს თავად იფარავენ. 8. უკვდავი სული მოკვდავ კარავში სახლობს (შდრ. 2პეტრე, 1.13; 2კორ. 5.1), ქრისტიანებიც ხრწნადთა შორის მკვიდრობენ, მაგრამ ზეცაში ღებულობენ უხრწნელებას (1კორ. 15.50). 9. როდესაც საკვებისა და სასმელის ნაკლებობით ზიანი ადგება, სული უფრო კეთილშობილი

1. შდრ. დიდაქე, 1.3.

2. შდრ. 6.4.

ხდება,¹ ქრისტიანებიც, რომელნიც ყოველდღიურად განიცდიან გვემას, მრავლდებიან უფრო და უფრო. 10. ამგვარ დიდებულ წესზე დაადგინა ისინი ღმერთმა და არ შეუძლიათ² მასზე უარის თქმა.

თავი VII ღვთის სიტყვის მოვლინება

1. რადგან, როგორც ვთქვი,³ ის, რაც მათ გადაეცათ,⁴ არ წარმოადგენს მინიერ აღმოჩენას (შდრ. გალ. 1.12),⁵ არც კვდომად შეხედულებას იცავენ ასე გულმოდგინედ, არც ადამიანურ საიდუმლოებათა განგებულება აქეთ მინდობილი, 2. არამედ თავად ქეშმარიტად ყოვლისმპყრობელმა (2კორ. 6.18), ყოვლისშემოქმედმა (2მაკ. 1.24) და უხილავმა ღმერთმა ზეციდან ჩანერგა ქეშმარიტება და წმინდა და შეუცნობელი სიტყვა, და განამტკიცა მათ გულებში (შდრ. იოანე, 14.16), არა როგორც რომელიმე ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს, მათთან რომელიმე მსახურის, ანგელოზის, გამგებლის ან მინიერ საქმეთა ერთ-ერთი მმართველის გაგზავნით ან მისი მეშვეობით, ვისაც მინდობილი აქვს ზეციურ საქმეთა გამგებლობა, არამედ თავად ყოველთა ხელოვანისა და შემოქმედის (შდრ. ებრ. 11.10)⁶ მოვლინებით, ვისი მეშვეობითაც შექმნა ცანი, ვისი მეშვეობითაც შემოსაზღვრა ზღვა საკუთარ საზღვრებში⁷ (ფსალ. 103.99; იგავ. 8.27-29), ვის საიდუმლოებებსაც სარწმუნოდ იცავს ყველა სტიქიონი, ვისგანაც მზემ აღსასრულებლად მიიღო დღეთა სვლის საზომი, ვის ბრძანებასაც ემორჩილება მთვარე, როდესაც ღამეს ანათებს, ვისაც ემორჩილებიან ვარსკვლავები, მთვარის სვლას რომ მისდევენ, ვის მიერაც არის მოწყობილი, განსაზღვრუ-

1. შდრ. ჰერმასის *მწყემსი*, 1.3.6.6-7.

2. οὐ μὲντοι.

3. იბ. 5.3.

4. საუბარია ქრისტიანულ მოძღვრებაზე.

5. შდრ. 5.3.

6. წმინდა წერილის ამ მუხლში ეს სიტყვები მამა ღმერთს მიემართება.

7. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 33.3.

ლი და განგებული ყველაფერი, ცანი და ციურნი, მიწა და მიწიერნი, ზღვა და ზღვიურნი, ცეცხლი, ჰაერი, უფსკრული, ყველაფერი, რაც მალაა, რაც სიღრმეებშია და რაც მათ შორის არის, იგი მიავლინა მათთან. 3. ნუთუ, როგორც მავანი ადამიანი გაიფიქრებს, მბრძანებლობის ან დაშინების გამო ან მათ შესაძრწუნებლად გაგზავნა? 4. სწორედაც რომ არა! არამედ სიმშვიდისა და სიკეთისათვის¹ (2კორ. 10.1) მიავლინა იგი, ისე, როგორც მეფე გზავნის ძე-მეფეს (მათე, 21.37), გაგზავნა როგორც ღმერთი, გაგზავნა როგორც [ადამიანი]² ადამიანებთან, გაგზავნა დასახსნელად, დასარწმუნებლად და არა იძულებისათვის,³ რადგან ღმერთს არ ახასიათებს ძალდატანება.⁴ 5. გაგზავნა მოსახმობად და არა ბრალის დასადებად; გაგზავნა სიყვარულისათვის და არა განსასჯელად (იოანე, 3.17). 6. რამეთუ იგი მას მოავლენს მსაჯულადაც, და ვინ შესძლებს მისი მოსვლის დათმენას? (მალ. 3.2) ... <...>...⁵ 7. (ვერ ხედავ.) მათ მხეცებს უყრიან, რომ უფალი უარჰყონ და ვერ ამარცხებენ? 8. ვერ ხედავ, რომ რამდენადაც მეტია გვემული, იმდენად მეტი ხდება დანარჩენთა რიცხვი?⁶ 9. არ ჰგავს ეს ყველაფერი ადამიანის ნამოქმედარს, ეს ღვთის ძალა; ეს ყველაფერი საბუთია მისი თანამყოფობისა.⁷

1. παραύτι. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 30.8.

2. ეს სიტყვა ამ მონაკვეთში ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში არ დასტურდება, შდრ. ἄς [ἀσφασι] παρὰ ἀσφάστους ἑπέμψεν (Lightfoot, 1907, გვ. 495; შესაბამისად, განსხვავებულია მისი თარგმანიც: „il l'a envoyé comme il convenait qu'il le fut pour les hommes“, *A Diognète*, 1965, გვ. 68). ლათინური მას საექვო წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს (შდრ. Lightfoot, 1907, გვ. 4, 495).

3. მსგავსი შინაარსის სტრიქონები დასტურდება წმ. ირინეოსთან (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 5.1.1) და ორიგენესთან (“არავის სძლევს ქრისტე მისი ნების გარეშე, არამედ დარწმუნებით, რადგან იგი სიტყვა არის ღვთისა“, PG 12, სვ. 1133B); იხ. *A Diognète*, 1965, გვ. 68, შენ. 5.

4. შდრ. წმ. ირინეოსი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 4.37.1.

5. ხელნაწერის ამ ადგილას ლაკუნაა, რომელშიც, როგორც შინაარსიდან ჩანს, საუბარი იყო იმაზე, რომ მაცხოვრის მეორედ მოსვლის იმედი და საშინელი სამსჯავრო აძლევს ქრისტიანებს ძალეებს, მხნედ დაითმინონ დევნილობა და მონამეობა.

6. შდრ. 6.9.

7. τῆς παρουσίας. იგულისხმება ღვთის მყოფობა ქრისტიანთა შორის.

თავი VIII

ფილოსოფოსები და სამყარო, მაცხოვარების განგებულება

1. საერთოდ, ვინ იცოდა ადამიანთაგან, რა არის ღმერთი, მის მოსვლამდე? 2. თუ იმ „ღირსსარწმუნო“ ფილოსოფოსთა ცარიელ და სულელურ სიტყვებს ეთანხმები, რომელთაგან ერთნი ამბობდნენ, რომ ცეცხლია ღმერთი¹ (საითაც უნდა გაემართონ, იმას უწოდებენ ღმერთს),² მეორენი – რომ წყალი,³ სხვები – რომ რაიმე სხვა სტიქიონი, ღვთის მიერ შექმნილი? 3. ხოლო თუ ამ შეხედულებათაგან რომელიმე მისაღებად ჩაითვლება, მაშინ, ამის მსგავსადვე, დასაშვებია, რომ სხვა ქმნილებათაგანაც თითოეული იქნას მიჩნეული ღმერთად. 4. მაგრამ ეს ყველაფერი ცრუთა ბოძვა და ცთომილებაა. 5. ადამიანთაგან არავის უხილავს, არც უცვნია იგი (ლუკა, 10.22; იოანე, 1.18; 1იოანე, 4.12), მან თავად გამოაჩინა საკუთარი თავი. 6. გამოაჩინა რწმენის მეშვეობით, რადგან მხოლოდ რწმენის მეშვეობით არის შესაძლებელი ჭვრეტა ღვთისა. 7. მეუფე და შემოქმედი⁴ ყოველთა, ღმერთი, რომელმაც ყოველივე შექმნა და წესისამებრ მოაწყო, აღმოჩნდა არა მხოლოდ კაცთმოყვარე, არამედ სულგრძელიც. 8. მაგრამ იგი მუდამ იყო, არის და იქნება ასეთი, მონყალე, კეთილი, ურისხველი,⁵ ჭეშმარიტი და ერთადერთი სიკეთე (მათე, 19.17; მარკ. 10.18). 9. ხოლო როდესაც ჩაიფიქრა განზრახვა დიდი და მიუთხრობელი, მხოლოდ ძეს⁶ ამცნო.⁷ 10. სანამ იგი საიდუმლოდ იცავდა და ფარავდა თავის ბრძნულ გადანყვეტილებას, ისე ჩანდა, რომ უყურადღებოდ და ზრუნვის გარეშე დაგვტოვა

1. ჰერაკლიტე მიიჩნევდა, რომ ყველაფრის დასაბამი, ანუ სამყაროს არსებობის თავდაპირველი მიზეზი იყო ცეცხლი.

2. შდრ. 10.8.

3. თალესი თვლიდა, რომ ყველაფერი წყლისგან წარმოიშობა და წყლად იქცევა.

4. ὁ γὰρ θεοπάτορς καὶ δημιουργός.

5. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, 19.3.

6. τῷ πατρὶ.

7. სტეფენსის თანახმად, ამ სიტყვების შემდეგ ტექსტში იყო ლაკუნა (*A Diognète*, 1965, გვ. 72, შენ. 1).

ჩვენ. 11. შემდეგ კი, საყვარელი ძის¹ მეშვეობით (შდრ. მათე, 3.17, 17.5), გაამჟღავნა განზრახვა და ნათელჰყო, რაც დასაბამიდანვე იყო განსაზღვრული (ეფეს. 3.9): ყველაფრის ერთად ბოძება ჩვენთვის და მონაწილეობა მის ქველ საქმეებში, მისი ჭვრეტა და შემეცნება (შდრ. გალ. 4.4-5; რომ. 8.32). რომელი ჩვენგანი მოელოდა ამას ოდესმე?

თავი IX

ძე ღვთისას დაგვიანების მიზეზი, გამოხსნის საიდუმლო

1. ამდენად, თუმცა უკვე თავად, ძესთან² ერთად ჩაიფიქრა ყოველი, მიგვიშვა უახლოეს ჟამამდე, რათა, როგორც გვსურდა, სიამოვნებებითა და ვნებებით გატაცებულნი მივცემოდით უწესო მისწრაფებებს (საქმე, 17.30; ტიტ. 3.3), არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ხარობდა ჩვენი ცოდვებით, არამედ, რადგანაც ითმენდა ამას, არც იმიტომ, რომ მაშინდელ უსამართლო ხანას იწონებდა, არამედ რადგანაც ახლანდელი სამართლიანობის ხანას ქმნიდა, რადგანაც თუმცა კი იმ დროში საკუთარი საქმეებით ვიყავით მხილებულნი, როგორც უღირსნი სიცოცხლისა, ახლა, ღვთის სიკეთის მეშვეობით (რომ. 3.25-26), შესაძლოა გავხდეთ მისი ღირსნი და, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ ჩვენ საკუთარი ძალით ვერ შევძლებთ შესვლას ღვთის სასუფეველში (იოანე, 3.5), ღვთის ძალის მეშვეობით შეიძლება მივიღოთ ამის შესაძლებლობა. 2. ხოლო მას შემდეგ, რაც აივსო ჩვენი უსამართლობის საზომი და სრულად გამოჩნდა, რომ მის საზღაურად სასჯელი და წარწყმედა იყო მოსალოდნელი, დადგა ჟამი (გალ. 4.4), რომელიც ღმერთმა დაადგინა, როდესაც ბოლოსდაბოლოს უნდა გამოეცხადებინა საკუთარი სიკეთე (ტიტ. 3.4) და ღვთის გარდამეტებული კაცთმოყვარებისა³ და სიყვარულის ძალმოსილება; რამეთუ არ მოგვიძულა ჩვენ,

1. παιδός.

2. τῷ πατρί.

3. ეს სიტყვები, (ὁ) τῆς ὑπερβαλλούσης φιλοφιλίας, ზედმინვნით ემთხვევა კლიმენტი ალექსანდრიელის პროტრეპტიკოსის ერთ-ერთ მონაკვეთს (9.2).

არც უკუგვაგდო, არც შური იძია, არამედ სულგრძელობა გამოიჩინა, დაითმინა და, ჩვენმა შემწყალებელმა, თავად იტვირთა ჩვენი ცოდვები (ესაია, 53.11,4), თავად მისცა საკუთარი ძე ჩვენს გამოსასყიდად (რომ. 8.32), წმინდა მისცა დამნაშავეთათვის, უბინო – ბინიერთათვის, მართალი – უსამართლოთათვის (1პეტრ. 3.18), უხრწნელი – ხრწნადთათვის, უკვდავი – მოკვდავთათვის, 3. რადგან სხვას რას შეეძლო დაეფარა ჩვენი ცოდვები, თუ არა მის სამართლიანობას? (ფსალ. 84.3), 4. ვისი მეშვეობით შეგვეძლო გამართლება ჩვენ (რომ. 3.26), დამნაშავეებსა და უწმინდურებს, თუ არა მხოლოდ ძე ღვთისას მეშვეობით? 5. ო, ტკბილო შენაცვლებავე, ო, შეუცნობელო (რომ. 11.33; ეფეს. 3.8) შემოქმედებავე, ო, მოულოდნელო ქველმოქმედებავე! რათა მრავალთა დანაშაული ერთი მართალის მეოხებით ყოფილიყო დაფარული, ხოლო ერთის სიმართლეს მრავალი დამნაშავე გაემართლებინა (რომ. 5.17-20). 6. უწინდელ ხანაში ნათელჰყო მან, რომ ჩვენი ბუნება უძლური იყო, მოეპოვებინა სიცოცხლე. ახლა კი, მას შემდეგ, რაც გვიჩვენა მაცხოვარი, რომელსაც ხელწიფება იხსნას ისინიც, რომელთაც ეს თავად არ შეუძლიათ, ამ ორივე მიზეზის გამო მოისურვა, გვერწმუნა მისი სიკეთე, რათა მიგვეჩნია იგი აღმზრდელად, მამად, მოძღვრად, დამრიგებლად, ექიმად, გონებად, ნათელად, ღირსებად, დიდებად, ძალად და სიცოცხლედ, და სამოსელისა და საკვებისათვის აღარ გვეზრუნა¹ (მათე, 6.25-31; ლუკა, 12.29).

თავი X

რწმენიდან მომდინარე მაღლი

1. თუკი შენც მეტად გწადია შეწყნარება ამ რწმენისა, ჯერ მამის შესახებ მიიღე ცოდნა: 2. რამეთუ შეიყვარა ღმერთმა ადამიანები (იოანე, 3.16), რომელთა გამოც სამყარო შექმნა და ვისაც დაუქვემდებარა ყველაფერი, რაც დედამინაზეა (დაბ.

1. ბოლო მონაკვეთი (πᾶσι ἑνὸς θεοῦ καὶ πατρὸς ἑἰς θεοῦ καὶ ἑἰς κυρίου) ლათინურ ფუტის გამოცემაში არ არის წარმოდგენილი (შდრ. 1907, გვ. 497) და იგი თარგმანს კრიტიკული გამოცემის გათვალისწინებით დავუმატეთ (იხ. *A Diognète*, 1965, გვ. 74).

1.26-30), ვისაც მიჰმადლა შემეცნების უნარი და გონება, ვისაც ერთადერთს უწყალობა ნება მალლა, ზეცისაკენ ცქერისა, ვინც შექმნა საკუთარი ხატისამებრ,¹ ვისაც მოუვლინა ძე თავისი მხოლოდშობილი (იოანე, 3.16; 1იოანე, 4.9), ვისაც აღუთქვა ზეციური სასუფეველი და უწყალობებს კიდევ მათ, ვინც ის შეიყვარა. 3. რაოდენი სიხარულით აღივსები, როდესაც მას შეიცნობ, როგორი ძალით შეიყვარებ მას, ვინც ამდენი ხნით ადრე, ასე ძლიერ შეგიყვარა შენ! (1იოანე, 4.19). 4. როდესაც შეიყვარებ, მისი სიკეთის მიმბაძველიც გახდები (შდრ. 1კორ. 4.16, 11.1; ეფეს. 5.12; 1თეს. 1.6, 2.14). და ნუ გაგიკვირდება, თუკი ადამიანს შეუძლია ღვთის მიმბაძველი გახდეს: შეუძლია, თუკი ღმერთი ისურვებს ამას. 5. რადგან ბედნიერებას არ წარმოადგენს ახლობელზე ბატონობა, არც უძლურ ადამიანებზე აღმატების სურვილი, არც გამდიდრება და ქვემდგომთა შევიწროება, ამათი მეშვეობით არავის შეუძლია მიჰბაძოს ღმერთს, რადგან ეს ყველაფერი შორსაა მისი დიდებულებისაგან. 6. მაგრამ ის, ვინც საკუთარ თავზე აიღებს ახლობლის ტვირთს (გალ. 6.2), ვისაც, რაიმეში აღმატებულს, სხვისთვის, მასზე ნაკლებისათვის, სიკეთის გაკეთება სწადია, ვინც ღვთისაგან ბოძებულს გაჭირვებულებს უნაწილებს და ღმერთი ხდება მიმღებთათვის, ის არის მიმბაძველი ღვთისა. 7. მაშინ შენ, დედამინაზე მყოფი, იხილავ, რომ ღმერთი ზეცაში მოქალაქობს, მაშინ დაინყებ ღვთის საიდუმლოთა გადმოცემას, მაშინ შეიყვარებ და აღფრთოვანდები იმ ადამიანებით, რომელთაც სტანჯავენ იმისათვის, რომ არ სურთ ღვთის უარყოფა; მაშინ დაგმობ სამყაროს სიცრუესა და ცთომილებას, როდესაც ჭეშმარიტად ჩასწვდები ზეციურ ცხოვრებას, როდესაც მოიძაგებ აქაურ მოჩვენებით სიკვდილს, როდესაც შეგეშინდება ნამდვილი სიკვდილისა, მომზადებული რომ არის იმათთვის, ვისთვისაც განჩინებულია საუკუნო ცეცხლი, რომელიც მისთვის გადაცემულს ბოლომდე დასტანჯავს. 8. მაშინ აღფრთოვანდები იმ ადამიანებით, რომელნიც სიმართლის გამო ჟამიერ ცეცხლს დაითმენენ და ჩათვლი ნეტარ ადამიანებად, როდესაც იმ ცეცხლს შეიცნობ... <...>²

1. οὗς ἐκ τῆς ἰδίας εἰκόσος ἔπλασε.

2. ხელნაწერის ამ მონაკვეთშიც ლაკუნაა. ითვლება, რომ მომდევნო

თავი XI ღვთის სიტყვის გამოცხადება

1. არ ვლავარაკობ უცნაურობებს, არც უგუნურად ჩავე-
ძიები, არამედ მოციქულთა მოსწავლე წარმართთა მასწავ-
ლებელი გავხდი და რაც გადმომეცა, ვამსახურებ იმათ, ვინც
ჭეშმარიტებას ღირსეულად დაემონაფა. 2. რადგან რომელი
ადამიანი, ჭეშმარიტებით განსწავლული და საყვარელი სიტ-
ყვის მიერ შობილი,¹ არ ესწრაფვის დაზუსტებით შეისწავლოს
ის, რაც სიტყვამ ნათლად აჩვენა თავის მონაფეებს? (შდრ.
1ტიმ. 3.16). გამოცხადებისას სიტყვამ გამოუჩინა მონაფეებს
საკუთარი თავი (შდრ. იოანე, 21.1), თავისუფლად ესაუბრა
და მოუთხრო მათ, რაც შეუმეცნებელი იყო ურწმუნოთა მი-
ერ; მათ, ვინც მან მორწმუნეებად ჩათვალა, მისგან შეიმეც-
ნეს მამის საიდუმლოებანი. 3. იმისათვის მოავლინა სიტყვა,
რათა სამყაროში განცხადებულიყო, და ის, ხალხის მიერ შე-
ურაცხყოფილი, ექადაგათ მოციქულებს, ხოლო წარმართებს
ერწმუნათ იგი. 4. ის, რომელიც დასაბამიდან იყო (იოანე, 1.1),
განცხადდა როგორც ახალი და, თუმცა კი ძველია, მარად ახ-
ალია წმინდანთა გულებში შობილი. 5. იგი, მარადიული, დღეს
ძედ იწოდება (ფსალ. 2.7). მისგან მდიდრდება ეკლესია და
მრავლდება წმინდანებში განფენილი მადლი, რომელიც უწყა-

ორი თავი არ წარმოადგენს ეპისტოლეს შემადგენელ ნაწილს და სხვა
ავტორს მიეკუთვნება.

1. Λόγος ('ღვთის) სიტყვა'. ამ მონაკვეთში ლაითფუტისა და ბერძნუ-
ლი ტექსტის კრიტიკულ გამოცემას შორის მცირეოდენი განსხვავებაა.
ლაითფუტის თანახმად, აქ მოცემულია Λόγος προϊσθηλῆς γεινηθείς ('სი-
ტყვის მიმართ სიყვარულით აღვსილი'), კრიტიკულ გამოცემაში კი: λόγος
προισθηλῆς γεινηθείς ("engendré par la bienveillance du Verbe", 'შობილი
სიტყვის კეთილგანწყობის მეოხებით', *A Diognète*, 1965, გვ. 78-79). ბერ-
ძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის ავტორი, ა. მარუ, მიუთითებს,
რომ პირველი ნაკითხვა ტექსტში მკვლევართა მიერ (ლაითფუტი
ასახელებს *S. Maur*-ს) შეტანილ ჩასწორებას წარმოადგენს და საკუთარი
ნაკითხვის დასაბუთებისათვის იმონმებს წმინდა წერილს: „მეორედ შო-
ბილ ხართ... სიტყვთა ღმრთისა ცხოველისაჲთა“ (1პეტრე, 1.23). მიუხე-
დავად ამ მტკიცებისა, ვფიქრობთ, არც მისი თარგმანია ზუსტი, რადგან
προισθηλῆς ზედსართავი სახელია და არა არსებითი. ტექსტის შინაარსს
უფრო ზუსტად ასახავს ე.ჭელიძის თარგმანი: „ვინც... სათაყვანო სიტყ-
ვისაგან იშვა“ (გვ. 20).

ლობებს ადამიანებს გონიერებას, უმყლავნებს საიდუმლოებებს, აუწყებს ჟამს, ხარობს მორწმუნეებით, მადლი, რომელიც მიემადლება იმათ, ვინც მას ეძიებს, ვინც რწმენის აღთქმებს არ ტეხს და არც მამათა მიერ დადგენილ საზღვრებს გადადის. 6. სწორედ ამგვარად იგალობება კანონის მოშიშებაც, შეიცნობა წინასწარმეტყველთათვის ბოძებული მადლიც, მყარდება სახარებათა რწმენა, დაცულია მოციქულთა გადმოცემა და წარმეტება მადლი ეკლესიისა.¹ 7. ნუ დაამწუხრებ ამ მადლს, და შეიმეცნებ, თუ რას ქადაგებს სიტყვა, ვისი მეშვეობითაც იგი მოინდომებს და როდესაც მოისურვებს. 8. რადგან ყველაფერს, რის მოშურნეობით² სათქმელადაც გვაგულიანებს ნება-სურვილი სიტყვისა, რომელიც გვიბრძანებს ამას, თქვენც გიზიარებთ, ჩვენთვის განცხადებულ საკითხთა სიყვარულის გამო.

თავი XII

ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების ცოდნის მნიშვნელობა

1. როდესაც მათ მიეახლებით და გულდასმით მოისმენთ, განჭვრეტთ, რაოდენს მიჰმადლებს ღმერთი მათ, ვისაც იგი ჭეშმარიტად სწამს (1კორ. 2.9). ისინი სამოთხის შვებად იქცევიან (დაბ. 3.23), ყოვლადნაყოფიერ, გაფურჩქნულ, მათშევე³ აღმოცენებულ, მრავალგვარი ნაყოფით შემკულ ხედ. 2. რადგან ამ ადგილას იქნა დარგული ხე შემეცნებისა⁴ და ხე ცხოვრებისა (დაბ. 2.9,17). მაგრამ ადამიანებს ღუპავს არა შემეცნების ხე, არამედ ღუპავს გაუგონრობა. 3. ვინაიდან სრულებითაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული, რაც და-

1. ამ მონაკვეთში ლათინურისა და ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემებს შორის მცირე განსხვავება გვხვდება: ἔκκλησίας χάρις σικρῆ (‘იზრდება ეკლესიის სიხარული’, Lightfoot, 1907, გვ. 499) და ἔκκλησίας χάρις σικρῆ (‘წარმეტება მადლი ეკლესიისა’, A Diognète, 1965, გვ. 80). ჩვენ ამ უკანასკნელის იკითხვის ვთარგმნით.

2. სიტყვასიტყვით: ტკივილით, ღვაწლით (μᾶτὰ πόνοις).

3. სხვაგვარად რომ ითქვას, ასეთ ადამიანებშივე.

4. ξύλον γινώσων. საუბარია კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის შესახებ.

წერილია, კერძოდ, რომ ღმერთმა დასაბამისას სამოთხის შუა-გულში დარგო ხე შემეცნებისა და ხე ცხოვრებისა (დაბ. 2.9), რითაც ადამიანებს შემეცნებითი ცხოვრებისაკენ მიუთითა.¹ ხოლო რადგანაც პირველითგან მყოფებმა² ეს მართებულად არ გამოიყენეს,³ გველის სიცრუის გამო განშიშვლდნენ (დაბ. 3.7). 4. რადგან არც ცხოვრება არსებობს შემეცნების გარეშე, არც შემეცნებაა მყარი ჭეშმარიტი ცხოვრების გარეშე. ამიტომ იყვნენ ისინი დარგულნი ერთიმეორის სიახლოვეს. 5. ამ ურთიერთკავშირის ძალა განჭვრიტა მოციქულმა. მან გაკიცხა ისეთი შემეცნება, რომელსაც ცხოვრებაში ახორციელებენ ჭეშმარიტების (იოანე, 14.6) მცნების გარეშე,⁴ და თქვა: „შემეცნება ამედიდურებს, სიყვარული კი ალაშენებს“ (1კორ. 8.1). 6. იგი, ვისაც ჰგონია, რომ იცის რაიმე იმ ჭეშმარიტი შემეცნების გარეშე, რომელიც ცხოვრების მიერ არის დამონშებული, არაფერი იცის; ის ცთუნებულია გველისაგან, რადგან მან არ შეიყვარა ცხოვრება. ხოლო ის, ვინც მოშიშებით შეიმეცნებს და ეძიებს ცხოვრებას, იმედით რგავს და ნაყოფს მოელის. 7. დაე, იყოს შენი გული შემეცნება, ცხოვრება კი შემეცნებული ჭეშმარიტი სიტყვა (მათე, 19.12). 8. თუკი იტვირთავ მის ხეს და აკრეფ ნაყოფს, ყოველთვის მოიმკი იმას, რაც სასურველია ღვთის წინაშე, რასაც ვერც გველი ეხება, ვერც საცთური დაჰფერავს, არც ევა იხრნება, არამედ ქალწულად არის მიჩნეული,⁵ 9. და მოჩანს ცხოვება, და მოციქულნი გონიერებით

1. ანუ, ადამიანებს მიუთითა, რომ მათ საკუთარი სიცოცხლე შემეცნების გზით უნდა წარემართათ.

2. ადამმა და ევამ.

3. იგულისხმება მითითება შემეცნებითი ცხოვრების მიმართ.

4. სხვაგვარად: იმ მცნებებისადმი მორჩილების გარეშე, რომელიც გადმოსცა ჭეშმარიტებამ.

5. οὐδὲ Ἐὐὰ φθίρεται, ἀλλὰ παρθένος πιστεύεται. ეს სტრიქონი ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთია მთელს ეპისტოლეში. *Christian Classic Ethereal Library*-ს სერიის გამომცემლები მას ამგვარად თარგმნიან: „Then Eve is not seduced, but a Virgin is found trustworthy“, რადგან მიაჩნიათ, რომ აქ მოცემულია პატრისტიკულ ლიტერატურაში ხშირად დადასტურებული (წმ. იუსტინე მარტვილი, *დიალოგი ტრიფონთან*, 10; წმ. ირინეოსი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 3.22.4, 5.19.1; ტერტიულიანე, *ქრისტეს ხორცის შესახებ*, 17) დაპირისპირება ევას, სიკვდილის ურჩ დედას, და მარიამს, სიცოცხლის მორჩილ დედას შორის, და რომ

არიან ალესილინი, და წინ მიდის პასექი უფლისა (1კორ. 5.7), და კრებულნი¹ იკრიბებინ, და წესრიგით მოაწყობს მათ² და

„ქალწული“ ამ წინადადებაში სწორედ მარიამ ღვთისმშობელს მიემართება (“The So-called *Letter to Diognetus*“, იხ. *The Library of Christian Classics*. Vol. 1: „Early Christian fathers“. Transl. C. Richardson. Philadelphia: The Westminster Press, 1953, გვ. 224). Sources Chrétiennes-ის გამოცემაში კი ეს მონაკვეთი ამგვარად არის გადმოღებული: „Ève n'est plus séduite, mais demeure vierge, proclame sa foi“. ჩვენი შეხედულებით, ეს წინადადება თავად ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ყოველგვარ საღვთისმეტყველო გააზრებათა გარეშე შეიძლება განიმარტოს. კერძოდ, როდესაც ადამიანს გულით აქვს შემეცნებული ჭეშმარიტი სიტყვა და მის ნაყოფს იმკის, მის წინაშე უკან იხევს ყოველგვარი საცთური და, შესაბამისად, იქ აღარ არის ცთუნებული ევა, არამედ იგი ქალწულად არის დარჩენილი და ქალწულადვეა მიჩნეული. ასევე მარტივად თარგმნიან ამ მონაკვეთს PG-ს გამომცემლები: „არც ევა იხრწნება, არამედ ქალწულად მიიჩნევა“ (“neque Eva corrumpitur, sed virgo creditur“, PG 2, სვ. 1185B).

1. იმის გამო, რომ ხელნაწერში ის ადგილი, სადაც ჩანერილია κληροι, დაზიანებულია, მკვლევარებთან ამ სიტყვის სხვადასხვა იკითხვისებია მოცემული, რომელთა შორისაც არის καιροι ‘ჟამნი’ (Sylburg, Marrou), κηροι ‘სანთელი’ (სტრასბურგის ხელნაწერი, Codex Graecus 9), χοροι ‘კრებულნი’ (Dom P. Maran. *S. Iustini Opera*. Paris, 1752), πηροι ‘უძღურნი’ (Lachmann, იხ. C.Bunsen. „Christianity and Mankind“. T. 5. *Analecta Ante-Nicaena*. T. 1. London, 1854), κληροι ‘სამღვდლო პირნი’ (Bunsen). შესაბამისად, ამ მონაკვეთის აზრიც სხვადასხვანაირია. ასე მაგალითად, მარუ მას ამგვარად თარგმნის: „ჟამნი სრულდებიან“ (“les temps s’accomplissent“, შდრ. „καιροι συσάγειται“, გვ. 85, 84. ასევე არის გადმოღებული ეს მონაკვეთი რიჩარდსონის თარგმანშიც: „the seasons are brought together“, იხ. *The So-called „Letter to Diognetus“*, გვ. 224), PG-ს გამომცემლები და ლაითფუტი მას შემდეგნაირად თარგმნიან: „კრებულნი იკრიბებიან“ (“chori congregantur“, κηροι συσάγειται, PG 2, სვ. 1185B; „the congregations are gathered together“, შდრ. κληροι συσάγειται, Lightfoot, 1907, გვ. 500). წინა და მომდევნო ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აქ სწორედ ‘კრებული’ უნდა იგულისხმებოდეს და არა ‘ჟამი’.

2. ეს მონაკვეთი, και μετὰ κόσμου ἄρμῶζεται, ასევე რთულად გასაგებია, რადგან შინაარსის მიხედვით იგი წინა სიტყვებთან ჩანს დაკავშირებული. ამის გამო მთარგმნელები მას, ბოიერის კვალდაკვალ, ხშირად მრავლობითი რიცხვით თარგმნიან, როგორც მაგალითად PG-ს გამომცემელი (“et decenter ordinantur“ და წესრიგით არიან მოწყობილნი“, PG 2, სვ. 1185B), ან ლაითფუტი (“[ყველაფერი] წესრიგის მიხედვით არის მოწყობილი“ „[all things] are arranged in order“, 1907, გვ. 500), ზილბურგი კი ამ ორ მონაკვეთს შორის ლაკუნასაც ვარაუდობდა. რაც შეეხება ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის ავტორს, მარუსს, იგი თვლის, რომ აქ თხზულების ავტორი ავითარებს კლიმენტი ალ-

ხარობს წმინდანთა დამოძღვრისას სიტყვა, რომლის მიერაც იდიდება მამა, რომელსაც დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქსანდრიელის *პროტრეპტიკოსში* გამოთქმულ მოძღვრებას ლოგოსის მიერ სამყაროში დამყარებული ჰარმონიის შესახებ (1.5.2-5) და შემდეგი შინაარსით თარგმნის განსახილველ მონაკვეთს: „და ამყარებენ კოსმიურ ჰარმონიას“ (*“et fondant l'harmonie cosmique“*, *A Diognète*, 1965, გვ. 85, შენ. 4).

